



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

40

**ყირიმის სცენარის გამეორება?  
რუსეთის ანექსიური პოლიტიკა აფხაზეთსა  
და სამხრეთ ოსეთში და მისი შედეგები**

*იოვანა კოვიანავსკი*

**ექსპერტის აზრი**



**2015**



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

იოჰანა ჯოჰიანეშვილი

**ყირიმის სცენარის გამომორება?  
რუსეთის ანექსიური პოლიტიკა აფხაზეთსა  
და სამხრეთ ოსეთში და მისი შედეგები**

**40**

**2015**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2015 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-0-7724-1

## შესავალი

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყნის სუვერენიტეტისთვის სერიოზულ გამოწვევას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებული კონფლიქტები წარმოადგენს. ქვეყნის ტერიტორიის 20%-ზე ცენტრალური მთავრობის კონტროლის დაკარგვა არა მარტო საქართველოს ეროვნულ იდენტობას ასუსტებს, არამედ აფერხებს სახელმწიფოს მშენებლობის მნიშვნელოვან პროცესსაც. გარდა ამისა, 2008 წელს საქართველოში რუსეთის ინტერვენციამ და შემდეგ მის მიერ ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებამ ნათელი გახადა, რომ ეს სეპარატისტული კონფლიქტები უბრალოდ ქვეყნის შიდა საკითხების სფეროს კი არა, უფრო დიდი, რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის სფეროს განეკუთვნება.

გასულ წელს განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან და სეპარატისტულ რეგიონებთან ისევ საფრთხის წინაშე დააყენა. მას შემდეგ, რაც 2014 წლის აგვისტოში აფხაზეთში, ხელისუფლებაში მოსკოვისადმი ლოიალური რაულ ხაჯიბა მოვიდა, მოსკოვმა სოხუმთან და ცხინვალთან სტრატეგიული მოკავშირეობის შესახებ ხელშეკრულებების დადების ინიციატივა წამოაყენა, რაც გაზრდის რუსეთის სამხედრო დახმარებაზე ამ რეგიონების დამოკიდებულებას და გადაძლიერებს რუსეთის პოლიტიკურ გავლენას სეპარატისტულ მთავრობებზე. ამას დაერთო ხმები იმის შესახებ, რომ რუსეთი ზენოლას ახდენდა *დე ფაქტო* ხელისუფლებებზე, ჩაეტარებინათ რეფერენდუმები რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრირების საკითხზე და რუსეთის მიერ მართულ ევრაზიულ კავშირში გაერთიანებულიყვნენ. ეს ბოლოდროინდელი მოვლენები განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გათვალისწინებით. საქართველოს დასავლელ პარტნიორებს შორის დაუსრულებელმა გაურკვეველობამ იმის თაობაზე, თუ როგორ აღუდგნენ წინ რუსეთის პოლიტიკას მის ახლო სამეზობლოში, შესაძლებლობა მისცა რუსეთს, რომ რეგიონში თავისი შემტევი დღის წესრიგი განახორციელოს.

## მოსკოვი, როგორც კონფლიქტის მხარე და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შუამავალი

საქართველომ დე ფაქტო კონტროლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე 1990-იანი წლების დასაწყისში დაკარგა, როდესაც ამ რეგიონების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ ორივეგან ომში გადაიზარდა. ორივე შემთხვევაში რუსეთი სეპარატისტული ძალების პირდაპირი დახმარების გზით ჩაერია.<sup>1</sup> 1992 წელს აფხაზეთში ომის შედეგად 250,000 ეთნიკური ქართველი გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან; დღემდე მათი უმრავლესობა ვერ ბრუნდება უკან. 1990-იანი წლების განმავლობაში ამ რეგიონებზე რეალურ კონტროლს რუსეთი ინარჩუნებდა ძირითადად რუსებით დაკომპლექტებული სამშვიდობო მისიებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში წამყვანი როლის საშუალებით. პარადოქსულია, მაგრამ ამ პოზიციების გამო რუსეთს, რომელიც ამ კონფლიქტის უშუალო მონაწილე იყო, უფლება ეძლეოდა ემოქმედა, როგორც რეგიონში მშვიდობის დამყარების საქმეში მთავარ შუამავალს. ამასობაში, მოსკოვმა თანდათან გააძლიერა სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელობების სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა. ეს გამოიხატებოდა მოსკოვის წარმომადგენლების დანიშვნით დე ფაქტო მთავრობებში, განსაკუთრებით – სამხრეთ ოსეთში, რომლის მთელი ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული. მართალია, აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ძალები მყარად იყო დისლოცირებული, მაგრამ პოლიტიკურ სტრუქტურებში საკუთარი პოზიციების დამყარებაში მოსკოვი ისეთი წარმატებული ვერ იყო, როგორც სამხრეთ ოსეთში. აფხაზეთის 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვი ღიად უჭერდა მხარს ამჟამინდელ დე ფაქტო პრეზიდენტს, კა-გე-ბე-ში მომზადებაგავლილ ხაჯიმბას, თუმცა მან დამოუკიდებლობის მომხრე ოპონენტთან, სერგეი ბალაფშთან, წააგო. ბალაფშის გამარჯვების საპასუხოდ რუსეთმა რამდენიმე დღით ჩაკეტა თავისი საზღვარი რეგიონთან, იქამდე, სანამ კომპრომისს არ მიაღწია, რომლის თანახმადაც, ხაჯიმბა დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. მომდევნო ორ არჩევნებში რუსეთი ხაჯიმბას მხარდაჭერას განაგრძობდა, მაგრამ ის ისევ დამარცხდა

1 კონფლიქტების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხ., მაგალითად.: Svante Cornell, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*, Richmond: Curzon, 2001.

ჯერ ბალაფშთან 2009 წელს და მერე, ბალაფშის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე ანქვაბთან, 2011 წელს. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ აფხაზი ხალხი, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან შედარებით, დამოუკიდებლობას მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე რუსეთთან ინტეგრაციას. აფხაზური იდენტობის შემდგომი შენარჩუნებისა და უცხოური ექსპლოატაციის თავიდან აცილების მიზნით, რეგიონში კანონები ამოქმედდა, რომლებიც აფხაზეთში უძრავი ქონების პირდაპირ შესყიდვას უცხოელების, მათ შორის რუსების, მიერ კრძალავდა. გარდა ამისა, ყოფილმა ხელისუფლებამ სკოლებსა და სამსახურებში აფხაზური ენის გამოყენების კამპანია წამოიწყო.

### **უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ**

2014 წლის მაისში აფხაზეთში სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი მასშტაბური ქუჩის საპროტესტო აქციები დაიწყო, რომლებიც ხაჯიმბას ოპოზიციური მოძრაობის „საკოორდინაციო საბჭოს“ მიერ იყო ორგანიზებული. რამდენიმედღიანი მიტინგების შემდეგ დემონსტრანტები პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში შეიჭრნენ და მაშინდელი პრეზიდენტი ანქვაბი აიძულეს სოხუმიდან გაქცეულიყო. პროტესტს ამწვავებდა სახალხო უკმაყოფილება მთავრობის იმ პოლიტიკით, რომელიც ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში აფხაზური პასპორტების დარიგებას ითვალისწინებდა, რაც ეთნიკურ ქართველებს არჩევნებსა და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. მოსახლეობა მთავრობას აფხაზური ეკონომიკის არასწორად წარმართვაშიც ადანაშაულებდა. 30 მაისს, აფხაზეთის პარლამენტში ჩატარებული იმპიჩმენტის კენჭისყრის შემდეგ, ანქვაბი გადადგა და ვადამდელი არჩევნები დანიშნა. აგვისტოში ჩატარებულ ვადამდელ არჩევნებში ხაჯიმბა თავის მეტოქესთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ასლან ბუჟინასთან მეორე ტურს მოპოვებული მცირედი უპირატესობით – ხმების 50.57%-ით გადაურჩა. ამ გამარჯვებას, როგორც ჩანს, სამმა ფაქტორმა შეუწყო ხელი: პირველი – წინა ხელისუფლებით, კერძოდ კი, ანქვაბით სახალხო უკმაყოფილება იყო, რომელიც დროთა განმავლობაში ძლიერდებოდა და ოპოზიციას, რომელსაც ხაჯიმბა მეთაურობდა, პოლიტიკურ ელიტასთან მეტოქეობისთვის თავისუფალ სივრცეს უქმნიდა. ანქვაბის ბანაკი დამაჯერებელი ალტერნატიული კანდიდატების სიმცირეს განიცდი-

და – ბჟანია რეგიონში ნაკლებად ცნობილი ფიგურა იყო. მეორე – საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ხაჯიმბა თავს უფრო აფხაზეთის ინტერესების დამცველად წარმოაჩინდა, ვიდრე რუსეთის რუპორად და ანქვას მოსკოვზე დამოკიდებულებისთვისაც კი აკრიტიკებდა. ამან, როგორც ჩანს, მას დამოუკიდებლობის მომხრეთა ხმები მოუტანა. მესამე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, არის ის, რომ არჩევნების წინ გალის რაიონში მცხოვრებ თითქმის 20,000 ეთნიკურ ქართველს აფხაზური პასპორტები ჩამოართვეს, რის გამოც მათ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

არჩევნებიდან ერთ კვირაში ხაჯიმბა მოსკოვში პუტინს შეხვდა სოხუმსა და მოსკოვს შორის ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების განსახილველად, რაც რეგიონს უსაფრთხოების უფრო მყარ გარანტიებს სთავაზობდა. ამ შეხვედრის შემდეგ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ აპირებდა ხუთიდან ოთხი სასაზღვრო პუნქტის დახურვას ენგურის მდინარის გასწვრივ, რომელიც აფხაზეთს დაწარჩენი საქართველოსგან ყოფს. ამით ის რეალურად ზღუდავდა გალის რაიონსა და ზუგდიდის რაიონს შორის გადაადგილებას. ერთი თვის შემდეგ რუსეთის მიერ შემუშავებული მოკავშირეობის შესახებ ხელშეკრულების ვერსია გავრცელდა, რომელიც აფხაზეთში უშიშროების სტრუქტურების შორსმიმავალ ცვლილებებს ითვალისწინებდა. ხელშეკრულების ამ ვერსიით შემოთავაზებული იყო აფხაზეთის სასაზღვრო სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსეთის ხელმძღვანელობისთვის დაქვემდებარება, რაც პრაქტიკულად აფხაზეთის უშიშროების უწყებების გაუქმებას ნიშნავდა. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული იყო აფხაზეთის კანონმდებლობის ცვლილებებიც, რომლებითაც რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზური პასპორტების მიღება გამარტივდებოდა, რაც მათ რეგიონში მიწისა და უძრავის ქონების შექენის საშუალებას მისცემდა. რუსეთის შემოთავაზებებს შორის ასევე იყო აფხაზეთის საბაჟო რეგულაციების რუსული კანონმდებლობისთვის დაქვემდებარება. სანაცვლოდ, რუსეთი რეგიონს აფხაზეთ-საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრის დაცვის გზით უსაფრთხოების გაძლიერებას, მოსკოვსა და სოხუმს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას და რეგიონში რუსული პასპორტების მფლობელებისთვის სოციალური დახმარების გაზრდას სთავაზობდა.

რუსეთის თავდაპირველმა შემოთავაზებამ სოხუმში უკმაყოფილება გამოიწვია. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, წამყვან კანონმდებლებთან ერთად, მკაცრად გააკრი-

ტიკეს შემოთავაზება, რომელიც აფხაზეთის სუვერენიტეტს ასუსტებდა. სიტუაციის განსამუხტად ხაჯიმბას აპარატმა განაცხადა, რომ რუსეთის შემოთავაზება და ხაჯიმბას ხედვა რამდენიმე საკითხზე ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და *დე ფაქტო* პრეზიდენტი ხელშეკრულების აფხაზურ ვერსიაზე პარლამენტთან მსჯელობდა.<sup>2</sup> ნოემბრის დასაწყისში სოხუმმა ხელშეკრულების საკუთარი ვერსია წარადგინა შეცვლილი სახელწოდებით – „ხელშეკრულება მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რაც უსაფრთხოების სტრუქტურების ინტეგრირების ნაცვლად მეტ თანამშრომლობას ითვალისწინებდა. თავის შეთავაზებაში სოხუმმა სრულად გამორიცხა რუსეთის თხოვნა, გამარტივებულიყო აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურა. სოხუმსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა კომპრომისს მიაღწიეს და ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა ნოემბერში მოხდა.

საბოლოო ხელშეკრულების მიხედვით, სოხუმსა და მოსკოვს „კოორდინირებული“ საგარეო პოლიტიკა და „თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცე“ და, ასევე, „საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცე“ ექნებათ. სოხუმი ასევე დათანხმდა საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზებას რუსეთის მიერ მართული ევრაზიული ეკონომიკური კავშირის რეგულაციებთან სამი წლის განმავლობაში.<sup>3</sup> მართალია, საბოლოო ხელშეკრულება სოხუმისგან კომპრომისებს მოიცავდა, მაგრამ სეპარატისტული რეგიონის ხელმძღვანელობამ შეძლო ამოელო მუხლი, რომელიც რუსებისთვის მოქალაქეობის მინიჭებას ეხებოდა.

დეკემბერში სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა განაცხადა, რომ ცხინვალსა და მოსკოვს შორის იგეგმებოდა ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც არ გამორიცხავდა რეგიონის რუსეთთან სრულ ინტეგრაციას.<sup>4</sup>

უნდა აღინიშნოს რეგიონში რუსეთის გადადგმული სხვა შემამფოთებელი ნაბიჯებიც. 2014 წლის ივლისის შემდეგ დაღესტნის მთავრობამ მნიშვნელოვანი თანხა, 730 მილიონი აშშ დოლა-

2 იხ., მაგალითად, „სოხუმი რუსეთთან ახალი ხელშეკრულების საკუთარ წინადადებებზე მუშაობს“, *Civil.ge*, 17 ოქტომბერი 2014.

3 იხ., მაგალითად, „მოსკოვმა და სოხუმმა “მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის” ხელშეკრულების საბოლოო პროექტი მოამზადეს“, *Civil.ge*, 22 ნოემბერი 2014.

4 „თიბილოვი რუსეთთან დაგეგმილი ახალი ხელშეკრულების შესახებ“, *Civil.ge*, 11 დეკემბერი 2014.



რი, დააბანდა ავარო-კახეთის გზის მშენებლობის პროექტში. ეს 83 კილომეტრის სიგრძის საავტომობილო მაგისტრალი რუსეთის-თვის საქართველოსთან მისასვლელი კიდევ ერთი დამატებითი გზა იქნება, სამხრეთ ოსეთთან, აფხაზეთთან და ლარსთან მისასვლელი გზების გარდა. დადესტინის ხელისუფლების განცხადებით, ეს პროექტი მაჰაჩყალასა და თბილისს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზანს ემსახურება, თუმცა რუსეთმა ის სამხედრო მიზნებითაც შეიძლება გამოიყენოს. ინვესტიციის სიდიდის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პროექტის დაფინანსებას უშუალოდ მოსკოვი უზრუნველყოფს. თბილისმა, რომელიც ამ პროექტს საკუთარი უსაფრთხოებისთვის პოტენციურ საშიშროებად განიხილავს, განაცხადა, რომ ის არ აპირებს ამ პროექტის გაგრძელებას საზღვრის აქეთა მხარეს, საქართველოს ტერიტორიაზე.

### **ქართული და საერთაშორისო რეაქციები**

რუსეთის ნაბიჯებმა ორ სეპარატისტულ რეგიონთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად თბილისში მნიშვნელოვანი შეშფოთება გამოიწვია. ნამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, თავიდანვე გამოხატა შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთში სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერის გამო, რომელსაც ანქვების გადადგომა მოჰყვა. საქართველოს ხელმძღვანელობის ნაწილმა, მათ შორის თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, გადატრიალებას რუსეთის ინფილტრაციის შედეგი და საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესის საბოტაჟის მცდელობა უწოდა. აფხაზეთ-რუსეთის ხელშეკრულების გამოცხადების შემდეგ თბილისმა ოფიციალურად დაგმო ხელშეკრულება და მას რუსეთის მხრიდან ანექსიის მცდელობა და რეგიონის სტაბილურობისთვის და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესისთვის საფრთხე უწოდა.<sup>5</sup> თუმცა, საქართველოს ხელისუფლების თავდაპირველი რეაქცია მოვლენების ამგვარ განვითარებაზე ფრთხილი იყო, სავარაუდოდ, რუსეთთან ურთიერთობების

5 იხ., მაგალითად, „თბილისი გმობს რუსეთის გადანყვეტილებას სოხუმთან ახალი ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე“, Civil.ge, 22 ნოემბერი, 2014 და „პარლამენტი თავის განცხადებაში გმობს რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიის მცდელობას“, Civil.ge, 17 ოქტომბერი, 2014.

ნორმალიზების ამბიციიდან გამომდინარე. ამის გამო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლება უმოქმედობაში დაადასტურა და მოსახლეობას ქუჩაში საპროტესტო მიტინგის გამართვისკენ მოუწოდა, რაც თბილისში 15 ნოემბერს ჩატარდა კიდეც და ათასობით ადამიანი შეკრიბა.

მიუხედავად მიმდინარე მოვლენების სერიოზული ხასიათისა, საქართველოს დასავლელი მოკავშირეების თავდაპირველი რეაქცია, საქართველოს მთავრობის რეაქციის მსგავსად, მოკრძალებული იყო. ხელშეკრულების გამოქვეყნების შემდეგ აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა კიდე ერთხელ დაადასტურა აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მაგრამ დაამატა, „რომ ძნელია წარმოიდგინო [აფხაზეთის და რუსეთის] უფრო მჭიდრო ინტეგრაცია“. სხვები უფრო შეშფოთებული ჩანდნენ. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლინას ლინკევიჩუსმა, ბრიუსელში 21 ოქტომბერს გამართულ „საქართველოს მეგობრების“ შეხვედრაზე ხაზაგსმით თქვა: „ჩვენ უნდა დავგმოდოთ და წინ აღვუდგეთ საქართველოს ტერიტორიების ანექსიის ლეგალიზების ნებისმიერ მცდელობას. ყველა ეს ნაბიჯი ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, რასაც რუსეთი სხვა რეგიონებში, მაგალითად, ყირიმში აკეთებს“. მას შემდეგ დასავლეთმა ტონი გაამკაცრა მოსკოვის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ აფხაზეთთან პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. ნოემბრის ბოლოს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შეფმა, ფედერიკა მოგერინიმ, განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება „აზიანებს რეგიონში უსაფრთხოების სიტუაციის სტაბილიზებისკენ მიმართულ ძალისხმევას“.<sup>6</sup> შეერთებულმა შტატებმა და ნატომ ასევე დაგმეს ხელშეკრულება. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნოემბერში განაცხადა, რომ ვაშინგტონი არ ცნობს ამ დოკუმენტს და მოუწოდებდა რუსეთს შეასრულოს 2008 წელს საქართველოსთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.<sup>7</sup> ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, ეს ხელშეკრულება „არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და აშკარად ეწინააღმდეგება“.

6 „ევროკავშირი: მოსკოვის ხელშეკრულება სოხუმთან აზიანებს სიტუაციის სტაბილიზაციისკენ განხორციელებულ ძალისხმევას“, Civil.ge, 25 ნოემბერი, 2014.

7 „აშშ არ აღიარებს მოსკოვსა და სოხუმს შორის ე.წ. ხელშეკრულების კანონიერებას“, Civil.ge, 25 ნოემბერი, 2014.

დეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ეუთოს პრინციპებსა და რუსეთის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს“.<sup>8</sup>

## დასკვნები

რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები საქართველოში იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვი აძლიერებს გავლენას საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონზე და, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს ამ რეგიონების რუსეთის ფედერაციაში სრულ ინტეგრირებას. ეს საგანგაშოა, განსაკუთრებით რუსეთის მიერ შარშან ყირიმის ანექსიისა და მის სამეზობლოში ამჟამად მიმდინარე აგრესიის ფონზე.

ყურადსაღებია აფხაზეთში ხაჯიმბას გამარჯვება, ვინაიდან ეს აჩვენებს, რომ ამ რეგიონში რუსეთმა, სამხედრო უპირატესობის გარდა, პოლიტიკური უპირატესობაც მოიპოვა. ეს შემაშფოთებელია, რადგან რუსეთის გავლენის გაძლიერებამ გადაწყვეტილების მიმღებ ადგილობრივ სტრუქტურებზე შესაძლოა შედეგად რეგიონის სრული ანექსია მოიტანოს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ხაჯიმბას მცირე უპირატესობით გამარჯვებას და მის მიერ მოსახლეობისთვის მიცემულ დაპირებებს, *დე ფაქტო* ლიდერი გამონწვევის წინაშე დგას – დააბალანსოს მოსკოვის ინტერესები და აფხაზი ხალხის ინტერესები, რომელიც უპირატესობას დამოუკიდებლობას ანიჭებს. ეს ნათლად გამოჩნდა ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, როდესაც წამყვანმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და კანონმდებლებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის მცდელობებს, შეესუსტებინა აფხაზეთის სუვერენიტეტი. მართალია, ადრინდელთან შედარებით მოსკოვს ახლა, ხელისუფლებაში უკვე მოსული თავისი კანდიდატის მეშვეობით, გაცილებით ძლიერი პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ხელმძღვანელობაზე, მაგრამ აფხაზეთის საზოგადოების რეაქცია საეჭვოს ხდის, შეძლებს თუ არა რუსეთი რეგიონის მომავალი ხაჯიმბას მეშვეობით გააკონტროლოს. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი, ალბათ, საკუთრების უფლებების საკითხი იქნება. მოქმედი აფხაზური კანონმდებლობა, რომელიც უცხოელების მიერ უძრავი ქონების შესყიდვას კრძალავს, მნიშვნელოვანი იარაღია აფხაზი ხალხის ხელში საკუთარი დემოგრაფიული უპირატესობის შენარჩუნებისა და რეგიონის რუსი ინვესტორების ექსპლუატაციისაგან დასაცავად.

<sup>8</sup> „ნატო არ აღიარებს მოსკოვსა და სოხუმს შორის ე.წ. ხელშეკრულებას“, Civil.ge, 25 ნოემბერი, 2014.

ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის კანონში ცვლილებების შეთავაზებით, რათა მხოლოდ რუსეთის მოქალაქეებისთვის გამარტივებულიყო აფხაზეთის პასპორტების აღების პროცედურა, მოსკოვი არა მარტო რეგიონში თავისი ყოფნის გაადვილებას ცდილობდა, არამედ რეალურად გამორიცხავდა სხვა უცხოური ინვესტიციების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ შეძლო ამ მუხლის ხელშეკრულებიდან ამოღება, რუსეთი, სავარაუდოდ, გააგრძელებს ამ საკითხის პოლიტიკურ დონეზე დაყენებას.

მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთის სურვილი, მოსკოვისგან იყოს დამოუკიდებელი, სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული. ეს რეგიონში დასავლეთის მეტი ჩართულობის შესაძლებლობას წარმოადგენს, რამაც შეიძლება პოტენციურად გაანეიტრალოს რუსეთის ამჟამინდელი დომინირება. სიტუაცია უფრო რთულია სამხრეთ ოსეთში, რომლის ხელისუფლებაც უკვე დიდი ხანია მოსკოვის გავლენის ქვეშ არის და ღიად აცხადებს, რომ რუსეთთან ინტეგრაციას არ გამოირიცხავს. არც დამოუკიდებლობის მომხრეთა ხმა ისმის სამხრეთ ოსეთში ისე ძლიერად, როგორც აფხაზეთში.

მნიშვნელოვანია იმ კონტექსტის აღნიშვნაც, რომელშიც ამჟამინდელი მოვლენები ვითარდება. დიდი ხანია, რაც მოსკოვი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს დესტაბილიზაციისა და მისი დასავლური ინტეგრაციის პროცესების შესაფერხებელ იარაღად იყენებს. ადრეული 1990-იანი წლებიდან დაწყებული დასავლეთის წარუმატებლობამ, გაეზარებინა და შეწინააღმდეგებოდა რუსეთის შემტევ პოლიტიკას რეგიონში და საიმედოდ ჩართულიყო სამშვიდობო პროცესში, რუსეთს საშუალება მისცა სულ უფრო აგრესიული ზომები მიეღო საქართველოს წინააღმდეგ და, ამავე დროს, შეენარჩუნებინა კონტროლი სამშვიდობო პროცესსა და მოლაპარაკებებზე, რითაც კონფლიქტის მოგვარებას ეფექტიანად უშლიდა ხელს. დაძაბულობა ჯერ 1990 წელს რუსეთში პუტინის ხელისუფლებაში მოსვლით, ხოლო შემდეგ, 2004 წელს, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლით გამწვავდა. თბილისის მთავრობის დასავლური ორიენტაცია პუტინის ინტერესს, სამეზობლო გაეკონტროლებინა, არ ეხმიანებოდა. 2006 წლიდან დაწყებულმა პროვოკაციების სერიებმა, დასავლეთის მიერ რუსეთის ქმედებების იგნორირების გაგრძელებასა და საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტიების არმიცემასთან ერთად, სიტუაცია 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის ხუთდღიან ომამდე მიიყვანა. ომის შედეგად რუსეთმა

ჯერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მოახდინა და მერე მათი დამოუკიდებლობა აღიარა. მას შემდეგ რუსეთი აქ ინარჩუნებს და აფართოებს თავის სამხედრო ძალას და არღვევს იმ სამშვიდობო შეთანხმებას, რომელიც თბილისსა და მოსკოვს შორის 2008 წელს გაფორმდა. რუსეთის მხრიდან პირდაპირი აგრესიის საფრთხის ვითარებაში თბილისი განაგრძობდა ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ სვლას. 2009 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის დაწყებით საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი უფრო გამოიკვეთა: დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე, ხოლო 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელმისაწვდომობას მოიცავს. 2014 წლის სექტემბერში უელსის სამიტზე თბილისს ნატოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას დაჰპირდნენ, მათ შორის, ნატოს მხრიდან სანვრთნელ აქტივობებს საქართველოში. ამრიგად, რუსეთის ბოლოდროინდელი ნაბიჯები საქართველოში და ასევე უკრაინაშიც უნდა გაანალიზდეს მოსკოვის ინტერესის კონტექსტში – შეინარჩუნოს ძლიერი სახელმწიფოს სტატუსი რეგიონში და არ დაუშვას თავისი გავლენის სფეროში დასავლეთის ჩარევა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ მოსკოვის ქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს ემთხვევა. ეს უფრო იმის დასტურია, რომ რუსეთი ზომებს საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საზიანოდ იღებს.

მართლაც, ბოლოდროინდელი მოვლენების შედეგები თბილისისთვის ძალიან სერიოზულია. ჯერ ერთი, აფხაზეთის რუსეთთან უფრო მჭიდრო ინტეგრაცია და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შესაძლო შერწყმა სერიოზული დარტყმაა საქართველოს მცდელობისთვის, მოახდინოს ამ რეგიონების რეინტეგრაცია და უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ამ ორ ტერიტორიაზე დაბრუნება. მეორე, ამჟამინდელმა მთავრობამ სცადა ურთიერთობების გაუმჯობესება თბილისსა და რუსეთს შორის, მაგალითად, სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის, დანიშვნით, რომელსაც პირდაპირი დიალოგი აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან. თუ საქართველოს მთავრობის თავდაპირველი რეაგირება რუსეთის ქმედებებზე უკრაინასა და აფხაზეთში ფრთხილი იყო, რუსეთის სახელშეკრულებ-

ბო წინადადებამ თბილისის ტონი გაამკაცრა და აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების დატოვების მუქარაც კი გაისმა. არსებულ ვითარებაში საქართველო წინაშე გამოწვევა დგას – დააბალანსოს თავისი ორი მისწრაფება – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უცვლელი ინტერესი და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების სურვილი. რუსეთის ბოლოდროინდელმა ქმედებებმა რეგიონში ცხადყო, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნებისმიერი გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება რუსეთის ინტერესებისადმი მორჩილების გარეშე, რაც საქართველოს სუვერენიტეტს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის. თუ უკრაინაში რუსეთის ბოლოდროინდელ ნაბიჯებს გავითვალისწინებთ, ნაკლებსავარაუდოა, რომ მოსკოვი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სრულ ანექსიას დასჯერდეს; უფრო სავარაუდოა, რომ ის საქართველოს პოლიტიკური თუ სამხედრო დესტაბილიზაციის მცდელობებს გააგრძელებს.

აღნიშნულმა მოვლენებმა აზრთა დაპირისპირება თბილისში, შიდა პოლიტიკურ დონეზეც გამოიწვია. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რუსულ ანექსიაზე მთავრობისგან უფრო მკაცრ რეაგირებას ითხოვს. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება დიდი ხანია ძალიან პოლარიზებულია, რაც კიდევ უფრო გააღრმავა 2012-2014 წლებში ყოფილი მაღალჩინოსნების დაჭერებმა. საქართველოს გაყოფილი პოლიტიკური არენა, განსაკუთრებით იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არსებითი მნიშვნელობისაა ორივე მხარისთვის, ხელს უშლის იმ საფრთხესთან დაპირისპირებას, რომელიც საქართველოს რუსეთისგან ემუქრება.<sup>9</sup>

ამრიგად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები, რომლებიც სინამდვილეში მოსკოვის მხრიდან საქართველოს დესტაბილიზების და ქვეყნის დასავლური წინსვლის შეფერხების მცდელობაა, გადაუდებელ მკაცრ საერთაშორისო რეაგირებას საჭიროებს. დასავლეთის დამოკიდებულების ბუნდოვანება რუსეთის მიერ რეგიონში განხორციელებული ქმედებების მიმართ მოსკოვისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციით რუსეთი განაგრძობს 2008 წლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ამკარა უგულებელყოფას, ხოლო პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებებით საქართველოს სუვერენიტეტს კიდევ ერთხელ ხელყოფს. მიუხედავად იმი-

---

9 იხ., მაგალითად, Mairbek Vatchagaev, "Planned Road From Dagestan to Georgia—Road of Friendship, or of War?," *Eurasia Daily Monitor*, Volume: 11 Issue: 174, 2 October 2014.

სა, რომ დასავლეთის სანქციები, რომლებიც რუსეთს უკრაინასთან დაკავშირებით დაეკისრა, რუსეთის ეკონომიკას ზარალს აყენებს, მოსკოვმა აჩვენა თავისი განზრახვა, რეგიონში შემტევი პოლიტიკა განაგრძოს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოვლენები, გზის მშენებლობის პროექტსა და ქართულ საზოგადოებაში ინფილტრაციის მცდელობებთან ერთად, გვიჩვენებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ქმედებების განახლების რისკი არ შეიძლება გამოირიცხოს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ და ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა გააერთიანონ ძალისხმევა რუსული საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც რეგიონის სტაბილურობას ემუქრება. ამ თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის დაჩქარება. ასევე არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა დაძლიონ განსხვავებები, ჩაერთონ კონსტრუქციულ დიალოგში ორმხრივი ეროვნული ინტერესის საკითხებზე და შეიმუშაონ სტრატეგია აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთთან მიმართებით.